სახალხო გაზეთი

№ 579 პარასკევი, 20 აპრილი, 1912 წ. № 579

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ჭლექთან მებრძოლი კავკასიის საზოგადოება.

დღეს, 20 აპრილს, გვირილობა!

დღეს მთელს რუსეთში შეწირულებას მოახდენენ ჭლექთან საბრძოლველად. **ჭლექის მორჩენა შეიძლება! თავის გაფრთხილებით!** ამისათვის საჭიროა ცოდნა, სახსარი და საზოგადოებრივი დახმარება!

დაეხმარეთ ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოებას

ეს საზოგადოება: 1) აარსებს ჭლექიანთათვის ამბულატორიასა და სამზრუნველოს. 2) ჰმართავს სუსტ ბავშვებისათვის საზაფხულო ახალშენს. 3) შეუდგა აბასთუმანში სანატორიუმის აგებას მემკვიდრისა და დიდ მთავარ გიორგი ალექსანდრეს ძის სახელობაზე.

ეს ყვავილი იყიდება ყველგან, **შესწირეთ ვისა რამდენიც შეგიძლიანთ!**

იყიდეთ დღეს გვირილა!

(1—1221—1)

„სახალხო გაზეთის“

რედაქცია ამით აცხადებს, რომ **დაუბეჭდავ ხელთ-ნაწერების შესახებ** ავტორებთან არავითარ მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდაც საპასუხოდ მარკაც იყოს გამოგზავნილი. დაუბეჭდავი ხელთ-ნაწერები არ ინახება.

რედაქცია.

კვლავ ვაცხადებ, რომ „სახალხო გაზეთს“ **ფულის მიღების უფლებით, არავითარი აგენტი არსად არა ჰყავს, გარდა წ.-კ. საზ. მთავარ მაღაზიისა, და ამიტომ პასუხსაც არავის წინაშე არ აგებს.**

„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

სურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გრდემლს.

აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს **6 მ. 75 კ.**

ერთი თვით **75** კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

პელაგია როსტომის ასული, კირილე ალექსანდრეს ძე, კნეინა ოლღა ჩერქეზიშვილისა, ელისაბედ გამრეკელოვისა, მარიამ ხარაევისა, ნიკო კირილეს ძე და ილია მიხეილის ძე ხარაევი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 19 ამა აპრილს გარდაიცვალა პირველის მეუღლე, მეორეთა ძვირფასი მამა, მესამისა საყვარელი ძმა და მეოთხისა ძვირფასი სიმამრი ანჩისხატის წინამძღვარი

დეკანოზი ალექსანდრე კირილეს ძე ზუმბულიძე.

პანაშვიდი ყოველ-დღე, შუადღის 12 საათზე და საღამოს 7 საათზე, ანჩისხატის საკრებულო ტაძრის-სახლში. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. (1—385—1)

ბარბარე ნიკოლოზის ასული, ნიკოლოზ მიხეილის ძე მეუღლით, დარია მიხეილის ასული შენგელიები შვილებით, ანნა მიხეილის ასული და ივანე გიორგის ძე თუხარელნი—პირველი მეუღლეს, მეორენი—მამას, მამამთილს და პაპას, მესამენი—მამას და სიმამრს ძვირფას და დაუვიწყარ

მიხეილ გრიგოლის ძე შენგელიას

გარდაცვალებას აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. პანაშვიდები ყოველ-დღე საღამოს 7 საათზე, ბინაზე: ავლაბარი, როზოვაია მოედანი, საკუთ. სახ., № 2. გამოსვენება ბინიდან 22 აპრილს, კვირას, დილის 10 საათზე წმ. მარინეს ეკლესიაში და დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (1—386—1)

ანტონ როსტომის ძე, ელისაბედ გიორგის ასული, ანეტა, ელენე და თამარა ანტონის ასულები მაკალატიები, დავით როსაპის ძე და მარიამ ანტონის ასული მაჭავარიანები და ივანე გიორგის ძე და ნინა ანტონის ასული დავითაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ორი საყვარელის შვილისას, დანარჩენები ძმისას და მოყვრისას **გორის გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფის**

ალექსი ანტონის ძის მაკალატიასი.

გასვენება 22 აპრილს ოქონის ეკლესიაში დილის 10 საათზე. ქ. გორი. (2—388—1)

ტელეფ. № 862. **ქართული თეატრი** **ტელეფ. № 862.**

კვირას, 22 აპრილს, 1912 წ.

მსახიობი **გ. არადელი-იშხნელი** გამართავს წარმოდგენას **ტ. აბაშიძის** და **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით ქართველ მსახიობთა ამხანაგობ. მიერ წარმოდგენილი იქნება: შექსპირის ცნობილი პიესა

ჰამლეტი

ტრაგ. 5 მოქ. თარ. ი. მაჩაბლისა.

უმთავრეს როლებს შეასრულებენ ჰამლეტი—ვლ. მესხიშვილი, პოლონიუსი—კ. მესხი, მეფე კლავდიუსი—ი. ივანიძე, მესაფლავე—ვ. გუნია, ოფელია—ტ. აბაშიძე, ლაერტი—დ. მგალობლიშვილი, აქტიორი—გ. იშხნელი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტ. აბაშიძე, ამირაჯიბი, ქილარჯიშვილი, ნებიერიძე. ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, არადელი, ი. იშხნელი, გუნია, ივანიძე, ყიფიძე, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, საფაროვი, ციციშვილი. ადგილ. ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღ. 8½ საათზე.**

ადმინისტ. გ. იორდანიშვილი. 3—99—1) რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

საარტისტო საზოგადოების დარბაზში

კვირას, 22 აპრილს დანიშნულია

კონცერტი

რუსულ სახალხო სიმღერების ცნობილ ამსრულებელ და მოსკოვ-პეტერბურგის საზოგადოების სასიყვარულო მომღერალ ქალის **ე. ი. ბაშარინისა.** მოსკოვ. საიმპერ. ოპერის ბას **ი. პ. ტომაშევიჩისა** და მელოდეკლამატორ ფ. ნ. ფლოროვის მონაწილეობით.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება **კარლ შუმანის** სამუსიკო მაღაზიაში, ხოლო კონცერტის დღეს დარბაზის შესავალთან. (3—384—1)

ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

კვირას, 22 აპრილს 1912 წ. სახალხო სახლთან არსებულ წარმ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება **ქრისტინე.** დრ. 4 მ. პ. ირეთელისა. სიუჟეტი აღებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან, მონაწილეობენ: ქ-ნნი: ო. ანტუანეტა, შ. ბეჟანოვი, გოდერძი, კახელი, კორინთელი, გარე-კახელი, ფეიქრიშვილი, [illegible] ინაშვილი, ა. მეტრეველი, მეტეხელი, რ. სალაყაია, სვანელი, ვ. ნინიძე, ხარ..., ფრონის-პირ—ი, ხახან—ლი, შანში—ლი, ჭანკ—ძე, მ. ჭიაურ—ი, ა. წუწუნავა. დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილ. ფასი 5 კ. 50 კ.-მდე, ბილეთები ისყიდება თეატრ. კასაში დილის 12 საათ. 2-ს და 6 საღ. 8 ს.-მდე. შემდეგი წარმოდგენა 27 აპრილს. წარმოდგენილი იქნება „ღალატი“, რეჟისორი ალ. წუწუნავა. ადმინისტრ. ს. ჯუღელი მორ. წევრი გამგეობისა ეფ. მესხი. 3.2.4.1

სტამბა „**გეჭდვითი საქმე**“ ბ. კილაძისა

1912 **წლ. 1 მაისამდე** მართავს ხელის მოწერას ცნობილ **მსოფლიო პოეტის**

ჰენრიხ ჰეინეს

რჩეულ ლექსებზე. ✦ **ჭ. ო—ლიას თარგმანი.** ✦ წიგნს დაერთვის წინასიტყვაობა, **ჰეინეს ბიოგრაფია,** სურათი და კარლ მარქსის მოგონება ჰეინეზე, წიგნი დაახლოვებით გამოვა 200 გვერდამდე მოზრდილი ზომის, დაიბეჭდება კარგ ქაღალდზე; ყოველივე ღონეა მიღებული, რომ გამოიცეს შნოიანად და ეღირება **60** კაპ. ხელის მომწერლებისათვის, ხოლო არა ხელის მომწერლებისათვის დაბეჭდვის შემდეგ წიგნი ეღირება **ერთი** მან. **წიგნი ხელის მომწერლებს დაურიგდებათ მაისის დამლევს.** ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში: გაზ. „თემის“ რედაქციაში, წ.-კ. საზოგადოების წ. მაღაზიაში, ბ. კილაძის სტამბაში ველიამ. 6, ზუბალაშვილების სამკითხველოში, მარო რამიშვილთან, მარო ელენტთან, რახილი კალანდაძესთან, ფილიპე მგელაძესთან. **ქუთაისში:** ის. კვიცარიძესთან, **ბათუმში:** გრ. სოლოღოვთან, გ. თავართქილაძის სტამბაში, **ფოთში:** ანტონ ელენტთან, გერმანე იმნაიშვილთან, **ჭიათურაში:** ალ. მითაიშვილთან, **გურიაში** ემელიანე ლომთათიძესთან, ფული და წერილები გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Типографія В. Киладзе Вельяминовская № 6. (6.373.4)

ქუთაისში

● ახალ ჭურჭლეულ-ავეჯეულობის მაღაზიაში ●

ფ. ს. ფილიპოვისა

ალექსანდროვ.-ქ., ზ. კოკოჩევის შენობაში, ელექტრო-თეატრი „თამარის“ გვერდით.

საზოგადოების სურვილით

გრძელდება იშვიათი იაფ-ფასიანი ვაჭრობა

აპრილის დამლევამდე. ფასები ნაღდზედ და შეუვაჭრებლად.

(25.1187.12) პატივისცემით **ფ. ს. ფილიპოვი.**

ქუთაისში

ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

ყურადღება მიაქციონ ახლად გამოსულ პაპიროსებს

„ირის“,

25 ცალი 15 კ. ◊ 10 ც.—6 კ.

საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა, ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

ყველგან იყიდება.

თამბაქ. ქარხანა

„ძმ. სეილანოვები“

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42.

(100.1036.24)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, **№ 10** ტელეფ. 792. (თ.100—1534—205)

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების

ვერის ბიბლიოთეკა-სამკითხველო

გადავიდა ახალ ბინაზე: არამიანცის ქარვასლაში, ოლგის ქუჩაზე, № 29. ღიაა დილ. 10—2 საათ. და საღ. 6—8 ს. კვირა-უქმ.: დილ. 11—1 ს. ბიბლ.-სამკ. არის ყველა ქართული წიგნი და ჟურნ.-გაზ. მოსწ. და მუშათ. თვიური გადასახადი 10 კაპ. (10—1207—5)

ქუთაისი

შუაგულ ქუთაისში, „**მწვანე ბაზარში**“, **ახლად გაიხსნა ლამაზად გაკეთებული და მორთული პირველ-ხარისხოვანი სასტუმრო**

„ბრისტოლი“

მშვენიერი ფოიეთი, სამკითხველოთი და ელექტრონის განათებით. სასტუმროსთან მოწყობილია **საუკეთესო სამზარეულო,** სადაც მზადდება ყოველ დღე **ახალი გემრიელი საჭმელები.**

ფასები ზომიერია. ქუთაისი (25.1194.7)

ი. გედევანიშვილის

„გამცემი“

3 მოქმ. დრამა.

დაიბეჭდა ცალკე წიგნად და **იყიდება** 25 კ. ქართულ წიგნის მაღაზიებში. (10.1312.3)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი,

თანახმად ბანკის წესდების მე-89 მუხლისა, საყოველთაოდ აცხადებს, რომ

მორიგი კრება

დანიშნულია ქ. ქუთაისს, ბანკის დარბაზში 1912 წ. 20 მაისს, დილის 10 საათზე. მე-89 მუხ. შენიშვნის თანახმად, კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს.

რწმუნებულთა მიერ განსახილველ საქმეთა სია:

1) 1911 წ. ანგარიში, ზედამხედველ კომიტეტისა, ბანკის გამგეობისა და დამფასებელ კომისიის მოხსენებით.

2) 1912 წ. ხარჯთ-აღრიცხვა.

3) მოხსენება გამგეობისა ბანკის ზოგიერთ მუხლთა შეცვლის თაობაზე.

4) მოხსენება გამგეობისა ბანკზე დარჩენილ მამულების თაობაზე.

5) მოხსენება გამგეობისა სასამართლოში წარმოებულ საქმეთა და საიურისკონსულტო ნაწილის რეორგანიზაციისა.

6) მოხსენება გამგეობისა ბანკის საოპერაციო ფარგლის გაფართოებაზე.

7) ანგარიში ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო კასისა.

8) ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო კასის წესდების შეცვლა.

9) მოხსენება იმის თაობაზე, რომ ბანკში მოსამსახურეთ ეკრძალებათ იკისრონ აგენტობა და სუბ-აგენტობა ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებაში.

10) ის კითხვები, რომელნიც რწმუნებულთა ერთმა ჯგუფმა წარადგინა საგანგებო კრებაზე განსახილველად 1912 წ. იანვარში, რომელთა განხილვა რწმუნებულთა მორიგ კრებისათვის გადაიდო.

11) არჩევა ზედამხედველ კომიტეტის ერთი წევრისა, რიგის მიხედვით გასულ წევრის ნაცვლად; ა. ს. საყვარელიძისა. არჩევა გამგეობის წევრთა კანდიდატებისა თ-დ ი. ნ. ნიჟარაძისა და ე. ს. ქუთათელაძის მაგიერ.

(3. 1222. 1).

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 10 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს. 10% დათმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და ბ. ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძე.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ის. დეკანოზიშვილი.
თელავში—თამარა აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავი.
ერევანში—ელენე ვირსალაძე.

კავკავში—სოფიო კალანდარაშვილისთან.

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—1153—3)

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

„გრდემლი“

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.61)

თამარა ნიკოლოზის ასული **ბრაილოვსკისა** და **ელისაბედ ნიკოლოზის** ასული **დომერშჩიკოვისა** მეუღლით დიდის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ ძვირფას და საყვარელ მამის

თავ. ნიკოლოზ ბიძინას ძე ერისთავის

გარდაცვალებას 19 აპრილს ს.-პეტერბურგში. პანაშვიდი ხვალ 21 აპრილს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, 1 საათზე.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

ვეფხის ტყაოსანი, საუკეთესო გამოცემა, . .	10 მ. 65 კ.
თამარიანი, გუგუნავასი. . .	50 „
ყაზბეგის სრული თხზულ. .	3—50 „
გაბაშვილი ე. თხზულებ. .	1—20 „
ნინოშვილის თხზულებანი .	1- 50 „
რჩეული პედაგ. და პუბლიც. ნაწერები ი. გოგებაშვილისა	1-- —
რანი ვიყავით გუშინ? მისივე.	20 „
საარაკო თავგად. ტახტის მემკვიდრისა, მისივე. . . .	10 „
ცხოვრება გიორგი ხანძთელისა, გიორგი მერჩული. . .	3— —
ძველი საქართველო, ტ. I, საისტორიო საზ. გამოც.	3— —
საქართ. სიძველენი ტ. II, მისივე	3—
„ „ ტ. III, „	3— —
ბრძოლა... ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, ან. ფურც.	1— —
ქართ. ცხოვრ. მარ. დედ. ვარ.	4— —
ქართვ. ერის ისტორია. ივ. ჯავ.	80 „
საქ. ეკონომ. ისტორია, მისივე	40 „

ქართვ. მეფე და მისი უფლებ. ისტორია მისივე . . .	15— —
Иверскій монастырь на Аѳонѣ въ Турціи. Натроева .	1 — —
Культурная роль Иверіи въ исторіи Рус Еп. Киріона.	3 — —

ახლად მიღებული წიგნები:

ეტიუდები მე-XIX საუკ. ქართ. ლიტერატ. შესახ. კ. აბაშიძე	70 „
ექსპერიმენტ. პედაგოგიკ., უზნაძ.	75 „
გამცემი, 3 მ. დრ. გედევანიშვ.	25 „
დალი, 3 მ. დრ., გლახაშვილისა	20 „
დრამ. და კომედ. I, „სორ." გამ.	1— —
სურათები: აკაკისა	50 „
„ ფერადი .	40 „
ილიასი	50 „
თამარ დედოფლისა . . .	1 50 „
ე. გაბაშვილისა	35 „
წმ. ნინოსი (ჯვრის მიღება), ზიჩ.	15 „
„ (ანგელოზ. მოჩვენება) ზიჩ.	15 „
„ (მაცხოვრის მოჩვენ.) „	15 „

ადრესი: Тифл О-во распростр. грамотн. сред. груз. насел. (წ. 1141.29)

საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ **გაიხსნა** ახალ პატრონთა ხელში გადასული

კაფე-პარიზი

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.

ღია იქნება ღამის 2 საათამდე

11—1 საათ. 1—5 ს. 5—2 ს.

საუზმე—30 კ. **სადილი.** **ვახშამი**—30 კ.

ყოველ დღე: ღომი ღოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილი მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი **ბილიარდები გოცისა.** საჭმელებს სახლებშიაც ვამლევთ თვიურად, დიდის შეღავათით.

(თ.—113—35)

ქუთაისში

ძმ. ე. და პ. სააკაშვილები.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი

რკინეულობის სავაჭრო პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში.

და შესამჩნევად გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლად, მაგ. კარ-ფანჯრებისა და ბუხარ-ფეჩების მოწყობილება, ლურსმანი, რკინის ნიჩბები, კირკები და სხ., სახელოსნო ხელსაწყობები, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „ქესტი", სხვა და სხვა ნაირი ემალიანი ჭურჭლეულობა; ყოველგვარი სალებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.

ფასები ზომიერია. (25 1195.6)

ტფილისის ქალაქის სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფობანი	**ამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^1/_2$—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო ავ. (ქირურგიული)	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^1/_2$—$12^1/_2$. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო, ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $11^1/_2$—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. წამლ. ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—$2^1/_2$.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—10[illegible]—317)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებული ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 28.)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 149)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—37).

ექიმი ე. ი. **მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევს, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067) (100—1117—142.

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხზე, საბჭიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის. **აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო** და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. ([illegible] памятн. Воронцову). (თ. 1084.141)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 $11^1/_2$.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი: აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა 606 -

(წლ.—1018—255)

ექიმი ბილისა **არჩილ** (გიორგი) ბ-ძე **დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.

რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა** № 166. (25.1179.20)

ექიმი ი. ი. **ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგიანებს მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელისაბედის ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—10)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ს.-პეტ. ვედ"-ში დაბეჭდილია ნ. დურნოვოს წერილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. ნ. დურნოვო ეკამათება „მისიონერს" პლატონოვს და სხვათა შორის აძლევს რამდენიმე კითხვას. მოგვყავს ზოგიერთი მათგანი:

1) ავტოკეფალურ ეკლესიად მიაჩნია პლატონოვს საქართველოს ეკლესია თუ არა?

აქვე უნდა მოვახსენოთ, რომ ხელთა გვაქვს საბუთი პატრიარქის იოაკიმე მესამისა, რომელმაც ჩვენის თხოვნით სტამბოლის საეკლესიო კრებაზე განიხილა ეს საკითხი და შეგვატყობინა: საქართველოს ეკლესია, მსოფლიო საეკლესიო კრებებიდან დაწყებული, ყოველთვის ავტოკეფალურ ეკლესიად ყოფილა აღიარებული. ამასთანავე დაგვისახელა რამდენიმე საბუთი, საიდანაც სჩანს, რომ საქართველოს ეკლესია ყოველთვის თავისუფალი ყოფილა.

2) თუ საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია დაჰკარგა, არ შეიძლება დაგვისახელოს ბ-მა პლატონოვმა, რა პირობებში მოხდა ესა? არსებობს რაიმე დადგენილება ქართველთა საეკლესიო კრებისა, დაუმტკიცებიათ თუ არა აღმოსავლეთის პატრიარქებს ასეთი დადგენილება? არ შეიძლება ბ-მა პლატონოვმა დაგვისახელოს წმინდა კანონები?

3) ვსთხოვთ „მისიონერ" პლატონოვს აგვიხსნას, შეუძლიან თუ არა თუნდა მსოფლიო პატრიარქს გაგზავნოს ავტოკეფალურ ეკლესიებში თავისი ეგზარხოსები? თუ მსოფლიო პატრიარქს ამის უფლება არა აქვს, რომელ კანონების ძალით ლა ჰგზავნის სინოდი თავის ეგზარხოსს ქართლისა, კახეთისა და სხვა ეპარქიათა ხელმძღვანელად? არ შეუძლიან ბ. „მისიონერ" პლატონოვს დაგვისახელოს, რომელ წმინდა კანონების ძალით შეიძლება ასეთი ჩარევა საქართველოს ეკლესიის საქმეებში"

ამას გარდა, ბ-ნი ნ. დურნოვო კიდევ სხვა კითხვებსაც აძლევს პლატონოვს და აღნიშნავს, რომ რუსის სასულიერო მთავრობა სრულიად უსაფუძვლოდ სდევნის ქართველებს, არ აძლევს არც სემინარიის რექტორობას, არც ინსპექტორობასაო. აქედან ნ. დურნოვოს შემდეგი დასკვნა გამოჰყავს: საქართველოს ეკლესიაში რუსები ბატონები არიან, ქართველები კი ყმებით.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები

თავმჯდომარეობს როძიანკო. მარტიუნინის მოხსენების თანახმად სათათბირომ მიიღო კანონ-პროექტები სამხედრო ბეგრის წესდების შეცვლისა და ქალაქებისა და ერობათა კრედიტის შესახებ საბოლოვო რედაქციით. კანონ-პროექტები გადაეცა სახელმწიფო საბჭოს.

მესამეთ კითხულობენ „ხოლმშჩინის" გამოყოფის კანონ-პროექტს. „პოლონელთა კოლოს" შეაქვს განცხადება, კანონ-პროექტი ისევ კომისიას გადაეცით, რადგანაც კომისიაში შენიშვნების განხილვის დროს ნაკაზი დაარღვიეს, ბევრს შენიშვნების შესახებ კამათი აკრძალეს და უკამათოდ მიიღეს.

დიმშამ ამას დაუმატა, წინააღმდეგ ნაკაზისა, კომისიამ არც ერთი შენიშვნის შესახებ დასაბუთებული დასკვნა არ გამოიტანა.

ეპისკოპოსი ევლოღი კანონ-პროექტის კვლავ კომისიაში გადატანის წინააღმდეგია. კომისიას არავითარი საშუალება არა ჰქონდა თვითოეული შენიშვნა ცალკე განეხილა, რადგანაც ის შენიშვნები კი არა, არამედ მასხარად აგდება იყო. ორატორი სთხოვს სათათბიროს, ნება არ მისცეს „პოლონელთა კოლო"-ს კვლავ აიგდოს მასხარად საკანონმდებლო მუშაობა. (ტაში მარჯვნით და ცენტრში).

გარუსევიჩი აღნიშნავს, პოლონეთის კოლოს ობსტრუქციისთვის არ მიუმართავს კომისიაში. კოლოს წარმომადგენლებს შეეძლოთ რამდენჯერმე დაერღვიათ ქვორუმი, მაგრამ არც ერთხელ არა ჰქნეს ესა; ეპისკოპოსი ევლოღი ისე ძალიანაა გატაცებული შოვინისტურ კანონ-პროექტით, რომ სიმართლეს ვეღარა ჰხედავს. დასცინოდნენ პოლონეთის კოლოს წარმომადგენლებს, რომლებმაც მხოლოდ იმიტომ არ დაანებეს თავი კომისიას, რომ სამშობლოს წინაშე მოვალეობა სთვლიდნენ თავიანთ თავს დარჩენილიყვნენ.

ანტონოვს უსაფუძვლოდ მიაჩნია კომისიის წინააღმდეგ გალაშქრება. ნაკაზი არავის არ დაურღვევია, რადგანაც იგი კომისიას არ შეეხება. კომისია თითონ ადგენს კანონ-პროექტების განხილვის წესს. [illegible] ნაკაზი დაარღვია კოლომ, რომელმაც კომისიაში დაუსაბუთებელი შენიშვნები შემოიტანა. კოლოს წევრებს $2^1/_2$ წლის განმავლობაში შეეძლოთ საკმარისად გამოერკვიათ მთელი ხასიათი კანონ-პროექტისა. ამიტომ კომისიისთვის სრულიადაც არ იყო საჭირო კოლოს აუარებელი შენიშვნების დაწვრილებითი განხილვა. კომისიისთვის ცხადი იყო, რომ კოლოს შენიშვნები შეჰქონდა მხოლოდ დროს გასაჭიანურებლად.

კენჭის ყრით კოლოს წინადადება უარყოფილია 150 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 60.

თავმჯდომარეობს ვოლკონსკი.

მომხსენებელი ლიხაჩევი წინადადებას იძლევა, ერთად იქმნას განხილული პირველი და მეორე ნაწილი, რომელნიც ხოლმსის გუბერნიის დაწესებასა და მის ტერიტორიას შეეხება. **გარუსევიჩი** და **პარჩევსკი** თხოულობენ, რომ ზემოხსენებული ნაწილები ცალ-ცალკე იქმნას განხილული, რათა ერთხელ კიდევ დაანახვონ რუსეთის საზოგადოებას, რამდენი ნაკლი აქვს ამ კანონ-პროექტს. სათათბირომ მომხსენებლის წინადადება მიიღო.

გარუსევიჩი პირველ ნაწილის შესახებ იმეორებს კოლოს აზრს და დასძენს, შეუძლებელია იგი მივიღოთო.

ზედი-ზედ შეაქვთ წინადადება ორატორთა სიის დახურვისა, სიტყვების ათი წუთით შეზღუდვის და დასასრულ კამათის სრულიად მოსპობის შესახებ. ოპოზიცია ჯგუფ-ჯგუფად გადის დარბაზიდან.

ზამისლოვსკი (ადგილიდან): რა ამბავია? რად არღვევთ ქვორუმს? (ხმაურობა მარცხნით და მარჯვნით).

წინადადებები მიიღეს. პირველი და მეორე ნაწილი კანონ-პროექტისა მიღებულია იმ რედაქციით, რომელიც მეორე კითხვის დროს შემუშავდა. ასევე მიიღეს, გარუსევიჩისა, გულკინისა და დიმშას სიტყვების შემდეგ, 3—8 ნაწილები კანონ-პროექტისა. ამ ნაწილების განხილვის დროს მიღებულ იქმნა წინადადება კამათის მოსპობის შესახებ. **გარუსევიჩი** პროტესტს აცხადებს, რადგანაც კამათის მოსპობა უმრავლესობის მხრით ძალადობად მიაჩნია.

გლებოვი, პირ-იქით, საჭიროდ ხედავს კამათის მოსპობას, რადგანაც კანონ-პროექტის მოწინააღმდეგეთა საქციელი ობსტრუქციად მიაჩნია.

კანონ-პროექტის განხილვა სათათბირომ შესწყვიტა.

სახელმწიფო საბჭო

გოლუბევი თავმჯდომარეობს.

საბჭომ მიიღო დამატებითი მოხსენება კანონ-პროექტისა მემკვიდრეობის საქმეში ქალების გათანასწორებისა კაცებთან. კანონ-პროექტი შემთანხმებელ კომისიას გადაეცა.

საბჭო შეუდგა განხილვას ავადმყოფობის დროს მუშათა უზრუნველყოფისა, უბედურ შემთხვევისა, და მუშათა დასაზღვევ საკრებულოს კანონ-პროექტისას.

ტიმირიაზევის (კომისიის თავმჯდომარე). აზრით მუშათა მოძრაობა საშიში არაა. 1904 წ. უმაღლესი ბრძანებას ეკონომიური ორგანიზაციები ჰყავს მხედველობაში. ყველა კანონ-პროექტები მუშათა შესახებ, რომელიც საბჭოს განსახილველად წარედგინა მისაღებიაო.

მომხსენებელი (კომისიისა) ზაგალეი განმარტავს ძირითად სამ მუხლს:

1) მწარმოებელთა სავალდებულო სამკურნალო დახმარების მოწყობა.

2) სამკურნალო კასის საშუალებით ფულით დახმარება. ამ კასაში ყველა სამუშაო წარმოება უნდა იღებდეს მონაწილეობას.

3) ამ რეფორმის მოსახდენად საჭიროა 28 მილიონი მან. აქედან მუშები გაიღებიან 11 მილიონს, მწარმოებელნი—17 მილიონს.

გრაფი ვიტტე. კანონ-პროექტი იძლევა გონივრულ მინიმუმს იმისას, რაც უდიდესმა მართმადიდებელმა სახელმწიფომ სავალდებულოდ უნდა გააკეთოს უთვისტომო, მხისმუქ დანატრულებულ მუშა ხალხისათვის. ზნეობრივ მოსაზრებათა გარდა, სახელმწიფო იძულებულია იხელმძღვანელოს მშრალ, პროზაიკულ მოსაზრებითაც, ვინაიდან სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას საზოგადოებრივი წესიერება და მშვიდობიანობა. ამ წესიერებას ერთის მხრივ უნდა ეხმარებოდეს დაუნდობელი ძალა, როდესაც საჭირო გახდება, ძალის ძალა დაუპირდაპირდეს, [illegible] მზრუნველობა სუსტსა და ბნელ ხალხისთვის, რომელიც ხშირად ებმება მზაკვრულ ქსელში. ეს უბრალო აზრი ყველაზე წინ ბისმარკმა განახორციელა. ამისათვისაც არის, რომ, თუმცა გერმანიაში ძლიერ განვითარდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა, მაგრამ გერმანიში მუშათა კლასი უფრო სახელმწიფოებრივია; გაფიცვაც იშვიათად ხდება იქ, რადგანაც მუშებმა იციან, რომ მთავრობა ისევე დაუზარელად მიჰმართავს პატრონებს, როგორც 30 წლის განმავლობაში დაუზარელად და მამობრიულად ზრუნავს მათთვის. გერმანიის მუშათა კასაში ორ მილიარდ მარკაზე (მარკა 48 კ.) მეტია. თუ კი მშვიდობიანობის დროს ეს თანხა მუშათა უზრუნველყოფაზე იხარჯება, უნებლიედ იბადება კითხვა, სამამულიშვილო ომი რომ გამოცხადდეს ეს თანხა გარეშე მტერთან სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლისათვის კი არ დაიხარჯება? ვიტტე აღნიშნავს, რომ ამ 20 წლის განმავლობაში სათანადო უწყება ყოველთვის აბანდებდა ჩვენში მუშათა რეფორმებსაო და განაგრძობს: ჩვენი მრეწველობა ემყარება საბაჟო პროტექციონიზმსა და მუშა ხელის აუარებლობაზე. პროტექციონიზმი მძიმე ტვირთად აწევს მკვიდრთ, მათ შორის მუშებსაც: იგი სულსა ჰხუთავს სასოფლო მეურნეობას. მუშა ხელი რუსეთში ერთი ორად ნაკლებ ფასობს, ვიდრე ინგლისში. ესეც ხელს უწყობს რუსეთის მრეწველობას. უსამართლობა არ იქნებოდა, თუ მრეწველობაც მცირეოდენ მსხვერპლს გაიღებს, თუმცა პროექტში დასახელებული ხარჯი, ცხადია, მეტის მეტად ზომიერი და სამართლიანია.

ტრიპოლიტოვის აზრით ამ რეფორმის შეფერხება არ შეიძლება. ხალხი იღვიძებს. გამოღვიძებულ ხალხს კი ეკლესია და სკოლა ჯეროვან გუნებაზე დააყენებს.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. თუმცა უმჯობესი იქნებოდა ყველაზე ბოლოს გამომეთქვა მთავრობის აზრი, მაგრამ, რადგანაც პეტერბურგიდან კაი ხნით მიხდება გასვლა საქმეების გამო, ახლავე მოგახსენებთ. 1904 წ. 12 დეკემბერს უმაღლესი ბრძანება გამოიცა, რათა მუშათა დაზღვევის საქმეს დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ. ამ საქმეს რვა წელიწადი მოუნდა რომ კანონ-პროექტს საბჭომდე მიეღწია. საქმე, როგორც შეიძლება მალე უნდა [illegible] და მოაწონოს [illegible]-პროექტები 1907 წ. შემდეგ ამ ქარტეხილიან საქარხნო სამრეწველო საქმეში, უკანასკნელ ხანამდე შედარებით მშვიდობიანობა იყო. თვალსაჩინო სახელმწიფო კანონი მშვიდობიანობის დროს უნდა განხორციელდეს. განსახილველ პროექტში სამკურნალო დახმარების თაობაზეა ლაპარაკი. ეს პროექტი მრეწველებს რაიმე ახალ გარდასახადს არ აკისრებს, იგი სტოვებს უკვე ორი წლის განმავლობაში არსებულ გარდასახადს. ბევრმა მექარხნემ 1866 წ. კანონის ძალით იმაზე მეტიც გააკეთა, რაც საჭირო იყო. გონიერება არ მოითხოვს, რომ დამზღვევ ორგანიზაციის ძირითადი დებულებანი სამკურნალო კასის გასადასადებში გადავიტანოთ. საქარხნო კასები ჯერ არა არსებობს, კანონი ერთის ბრძანებით მათ ვერ შეჰქმნის. როდესაც ეს კასები მკვიდრ ნიადაგზე დადგება, მხოლოდ მაშინ შეიძლება მათ დაუქვემდებარდეს სავალდებულო სამკურნალო დახმარების საქმე.

ასეთ გზას ადგია გერმანიის კანონმდებლობაც. კანონი მექარხნეებს ვერ უბრძანებს: „სამკურნალო კასას გარდაეცით თქვენი საავადმყოფონი, სადაც მექარხნეს ფულის გარდა თავის სულიც ჩაურთვია". კანონი ცხადად აკისრებს მექარხნეებს უწყვეტ ხარჯს, მხოლოდ მოქმედების თავისუფლებას უტოვებს: თუნდა საკუთარი საავადმყოფო მოაწყოს, თუნდა სხვა მექარხნეებთანა და საზოგადო დაწესებულებასთან საზიარო. სამკურნალო კასას რომ გადაეცეს ეს საქმე, მუშებს ყოველ წლივ ორ მილიონ ნახევარი მეტი დაეკისრებათ.

ხომანსკი. კოკოვცევს უპასუხებს. მექარხნე ვალდებულია მუშას თავისი ხარჯით უწამლოს.

მექარხნეები ვალდებული უნდა გავხადოთ, სადაც საავადმყოფო აქვთ, არ დაკეტონ, ხოლო ახლად გახსნილი სამკურნალო კასები შეუთანხმდენ მექარხნეებს.

საბჭომ კენჭი უყარა კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვის საკითხს.

შემდეგი სხდომა 20 აპრილს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **„თეთრის ყვავილის დღესასწაულისთვის",** რომელიც დღეს იმართება, ქალაქის თვითმმართველობა და ჭლექთან მებრძოლი კავკასიის საზოგადოება დიდის ამბით შეემზადნენ. დღესასწაულში მონაწილეობას იღებენ 600 მანდილოსანი და თითქმის ყოველ წოდებისა და წრის წარმომადგენელნი. ყვავილების გამყიდველები მოივლიან კანცელარიებსა, საზოგადო დაწესებულებსა, ბანკებსა და სხვას. ყველგან უფასოდ დაურიგებენ წიგნაკებს ქართულსა, რუსულსა და სომხურს ენებზე. ქალაქის სხვა და სხვა ადგილას წაკითხულ იქმნება ლექციები ჭლექის შესახებ. ქალაქში 12 ადგილას სტოლები იდგება, სადაც ყვავილებს გაჰყიდიან.

◆ **ი. გოგებაშვილის ავადმყოფობა.** ცნობილი მხცოვანი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი ამ ჟამად მძიმედ ავად არის.

◆ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგნენ** 18 აპრილს: ერევნის გუბერნატორი გრაფი ტიზენგაუზენი, ქუთაისის გუბერნატორი გენ.-ლეიტენანტი სლავოჩინსკი და სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის ტფილისის განყოფილების გამგე ა. ა. პავლოვი.

◆ **კავკასიის ნამესტნიკი მეუღლითურთ მოსკოვს მიემგზავრება** 21 აპრილს, დილის 9 საათსა და 35 წ. მოსკოვში იქნება 25 აპრილს, საღამოს 7 საათზე. მოსკოვიდან პეტერბურგს 26 აპრილს დილით, გაემგზავრება.

◆ **ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორის** მდივნად სინოდის ობერ-პროკურორმა საბლერმა სერგეი გრიგოლის ძე წერეთელი დაამტკიცა.

◆ **„თეთრის ყვავილის" დღესასწაული.** ტრამვაის დირექციამ ნება დართო რომ „თეთრის ყვავილების" (გვირილის) გამყიდველებმა ტრამვაის ვაგონებით დღეს უფასოდ იარონ. გამყიდველთ თან ექნებათ კალათები და ყულაბები.

◆ **სიღნაღ-ბაქოს რკინის გზა.** ახალ რკინის გზათა კომისიას 17 ა-

რილს განუხილავს თავ. პ. ი. თუმანიშვილისა, ს. ტამანოსოვისა და მ. მ. ფედოროვის წინადადება სიღნაღ-ბაქოს რკინის გზის გაყვანის შესახებ და დაუდგენია ხსენებულ პირთ გზის გაყვანის კონცესია მისცეს.

◆ **სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გამო.** ტფ. რუსთა პატრიოტულ საზოგადოების საბჭომ დაადგინა, მომავალ არჩევნებში მხურვალე მონაწილეობა მიიღოს და არც ერთ პარტიას, რომელიც კი ტფილისში არსებობს, არ შეუერთდეს.

◆ **ქალაქის გეგმა.** ქალაქის გამგეობა ქალაქ ტფილისის გეგმის შედგენას შეუდგა. გამგეობას ამ ჟამად სხვა გეგმა არა აქვს გარდა იმისა, რომელიც შედგენილ და დამტკიცებულ იქმნა 1869 წელს,

◆ ქალაქის გამგეობის წევრს მ. ნ. ათაბეგოვს დაევალა, შეადგინოს მოხსენება ქალაქის **გამგეობის მეხუთე წევრის თანამდებობის** დაარსების შესახებ. მოხსენება განხილულ იქმნება მომავალ ხუთშაბათს.

◆ **კავკასიის უნივერსიტეტი.** ტფ. მეორე საკრედიტო საურთიერთო საზოგადოებამ 1911 წლის მოგებიდან ათი თუმანი გადასდო კავკასიის უნივერსიტეტის სასარგებლოდ და უკვე სახელმწიფო ბანკში შეიტანა.

◆ **ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიის** შეკითხვაზე, როდიდგან გადასდებთ ყოველ-წლიურად ას თუმანს კავკასიის უნივერსიტეტის სასარგებლოდაო, ბაქოს საზოგადო საკრებულომ აცნობა, იმ დღიდან, როცა უნივერსიტეტი გაიხსნებაო.

◆ **ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის გამო.** როგორც შევიტყეთ, განსაკუთრებულ სარედაქციო კომისიას, რომელიც გამომცემლის მიხეილ გედევანიშვილის მიერ არის მოწვეული, უკანასკნელ კრებაზე გაუსინჯავს მხატვრების მიერ წარდგენილი სურათები, როგორც ნიმუშები გამოცემის ილიუსტრაციებისათვის. დაუდგენია, ამ საკითხის გასარჩევად კომისიას მოიწვიოს ცნობილი პირები და მათის თანადასწრებით საბოლოოდ გადასწყვიტოს, რომელ მხატვრებს შეუკვეთოს სურათების დახატვა. მოწვეულ იქმნენ: გ. გ. მხატვარი გაბაშვილი, მექან. ნიკოლაძე, დ. გურამიშვილი, ალ. სარაჯიშვილი და ნიკ. ქართველიშვილი. ამავე კრებაზე კომისიას ამოურჩევია ილიას ნაწარმოებებში ის მომენტები, რომელნიც დასურათებულ უნდა იყოს.

◆ **ექსკურსია.** ივნისის ბოლო რიცხვებში, ტფილისის დასათვალიერებლად ჩამოვლენ პავლოგრადის დედათა გიმნაზიის მოსწავლენი, რიცხვით 40 კაცი.

◆ **მიტოვებული ბავშვი.** 17 აპრილს, საღამოს 8 საათზე ერევნის მოედანზე იპოვეს ბავშვი მამრობითის სქესისა. ტანზე ბამბაზიის ხალათი ეცვა, ფეხზე ჩუსტები, ხოლო თავზე თეთრი ხელსახოცი ეხვია. ბავშთან ერთად იპოვეს ბარათი, რომელშიაც ეწერა: „ბავშვი მონათლულია, მართლ-მადიდებელია, ქართველია, წლისა და სამის თვისაა. ჰქვიან ალექსანდრე, დედა უმუშევარია და ულუკმა პუროდ არის“. ბავშვი ოლგას სახებით ინსტიტუტში გაგზავნეს.

◆ ჩვიდმეტ აპრილს ვორონცოვის ხიდთან შეიპყრეს ტფილისის მცხოვრები ივანე ტიმოთეს ძე სტეპანკინი, რომელიც ბორჩალოს მაზრაში იყო გაგზავნილი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ და ტფილისში თავის ნებით დაბრუნდა,

◆ თვრამეტ აპრილს ტფილისში 62 უპასპორტო შეიპყრეს.

სასწავლებლებში.

◆ **მეღვინეობის სასწავლებელი.** განზრახულია, ამიერ-კავკასიაში მეღვინეობის საშუალო სასწავლებელი დაარსონ. სასწავლებლის დაარსებას სოხუმში ჰფიქრობენ.

◆ **მეორე პირველ-დაწყებით სკოლის** გახსნის თაობაზე კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე ნაძალადეველებმა შუამდგომლობა აღძრეს. ამ ამბავს სახალხო სკოლების დირექტორი ქალაქის გამგეობას ატყობინებს და წინადადებას აძლევს, სკოლა ქალაქის ხარჯით გახსნას. თავის მხრით ჰპირდება, შუამდგომლობას ავღძრავთ, რათა სკოლას მთავრობისგან ყოველმხრივი დახმარება მიეცესო, ვიშუამდგომლებთ აგრეთვე იმის თაობაზე რომ სკოლის შენობის ასაგები ხარჯიც მთავრობამ იკისროსო.

სომხთა ცხოვრება.

◆ აპრილის 17-ს, სახალხო სახლთან არსებულ სომხურ წარმოდგენების მმართველმა სექციამ განსვენებულ დრამატურგის გ. სუნდუკიანცის სახსოვრად წარმოადგინა მისივე 4 მოქ. პიესა „ხათაბალა“.

◆ აპრილის 14-ს, კავკასიის საარქეოლოგიო საზოგადოების სხდომაზე ვ. სისოევმა წაიკითხა მოხსენება ერევნის გუბერნიაში მყოფ სომხეთა უძველეს ტაძრის ნორავანქის შესახებ. მომხსენებლის აზრით, ეს ტაძარი აშენებულია 1221 წ. და თვალსაჩინო უძველეს საფლავის ქვებით, და ქანდაკებით. დაკრძალულნი ყოფილან **ორბელიანთა** მრავალი წარჩინებული პირნი.

◆ გამოვიდა მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის მასწავლებლის ნ. ქუჩუკ-ჰოვჰანნესიანის ახალი შრომა რუსულ ენაზე: „სომხური უძველესი ხელთნაწერები და სომხური წარწერები, რომელნიც რუსეთის საზღვრებში იმყოფება“- წიგნს დართული აქვს მრავალი სურათი და ფერადი ნახატები.

◆ კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო „მშაკის“ რედაქტორს ალ. ქალანთარს შემოწირულებანი მიიღოს ამ წლის განმავლობაში „მშაკის“ ფონდის სასარგებლოდ.

◆ „მშაკის“ საიუბილეო კომიტეტმა ბ. ტიგრან აფრიკიანისაგან მიიღო 500 მანეთი და არშაკ მიტოვისაგან კიდევ 500 მანეთი ამ გაზეთის ფონდის სასარგებლოდ.

გვირილობა ტფილისში

მოწოდება

ტფილისის მცხოვრებთა მიმართ.

მოქალაქენო!

დღეს მთელს რუსეთში ჭლექთან საბრძოველად შემოწირულება გროვდება. ვისთვისაც ძვირფასია ხალხის ჯანმრთელობა და მოსახლეობის სიჯანსაღე, ვალდებულია დახმარება გაუწიოს სახალხო გაჭირვებას.

ჭლექი უფრთხის ცოდნასა და ფულს. ხალხში ცოდნა შეაქვთ ექიმებს ფული კი შეგნებულმა მცხოვრებლებმა უნდა გამოიღონ: ყოველი კაპეიკი საჭიროა, იგი გამოფიტულ სხეულში ჯანმრთელობის წვეთს შეჰმატებს. ტფილისელთა გული ჩვეულია გაჭირვებულ ხალხის თანაგრძნობას.

მოგიწოდებთ ყველას, დღეს გამოიშალნეთ ქალაქის ქუჩებში და თქვენი ნაოფლარი გროშები და მანეთიანები ჩაუმატოთ ყულაბებში. ეს ყულაბები მოდებულია მთელს ქალაქში ყოველ კუთხეს. დღე, ეს დღე იყოს—დღე სიყვარულისა, მოყვასის დახმარებისა, დღედ საზოგადოებრივ თაოსნობისა, საუკეთესო გრძნობათა გამოსახვისა.

იყიდეთ გვირილა, ტფილისის მოქალაქენო!

ალ. ხატისოვი.

თეთრი ყვავილი.

(გვირილა).

ეს მეორე წელიწადია რაც იმართება ეგრედ-წოდებული თეთრი ყვავილის დღე. რას მოასწავებს იგი და რა დანიშნულება აქვს ამ დღეს—ეს უკვე ყველასაგან კარგად არის ცნობილი. ნორვეგიის ქვეყნიდან წამოსულმა ამ ჩვეულებამ მოვლო მთელი ქვეყანა, მოაღწია ჩვენამდე და მალე არ დარჩება პატარა კუნძულიც კი, რომ ამ სასარგებლო ჩვეულებამ ფეხი არ მოიკიდოს. მართლაც მშვენიერი რამ ჩვეულებაა და სასიამოვნო მიზანს ემსახურება.

ეს პატარა თეთრი ყვავილი აერთებს ყველას ერისა და წოდების განურჩევლად, მიმართულებისა და რწმენის, სიმდიდრისა და სიღარიბის მიუხედავად საერთო საჭირო საქმისათვის: ყველანი იღებენ მცირე წვლილს საერთო თანხის შესადგენად და მიზნად უდებენ ამ საქმეს სნეულის შველასა და დახმარებას.

„თეთრი ყვავილის დღეს“ საყოველთაოდ მიზნად აქვს დასახული ფილტვის ავადმყოფობით, სიჭლექით დასნეულებულ პირთა შველა, ეს სნეულება საწუხაროდ ისე გავრცელებულია ყველგან, იმდენი მსხვერპლი იწირება ამ სენისაგან ყველგან და ყოველ ჟამს—რომ მასთან ბრძოლა თვითეულ ადამიანისათვის მეტად ძნელი და თითქმის შეუძლებელიც არის.

ამიტომაც ყოველ დაწინაურებულ ქვეყანაში თვითონ საზოგადო ძალა ირაზმება ამ სნეულებასთან საბრძოლველად, მრავალი საზოგადოება არსებობს, დამხმარე და ქველ-მოქმედი, რომელიც დახმარებას უწევს დასუსტებულს და ყოველმხრივად ჰშველის ავადმყოფს ამ სენთან საბრძოლველად. ეს ახალი ჩვეულებაც, თეთრი ყვავილის დღე, ამ დიად მიზანს ემსახურება, საყოველთაო დახმარებისათვის იწვევს ყველას. რომ საერთო ღონისძიება იქნეს შემოკრებული ავადმყოფთა დასახმარებლად.

დღეს ტფილისის მცხოვრებნი და აგრეთვე კავკასიის ზოგიერთ კუთხის მკვიდრნიც დაინახვენ ქუჩაში მოსიარულე ყვავილის გამყიდველთ და სასურველია, რომ ყოველმა ადამიანმა შეძლებისადაგვარად მიიღოს მონაწილეობა ამ საერთო საქმეში.

გარდა ყვავილებისა დარიგდება მრავალი ფურცლები და წიგნაკები საჭირო განმარტებით, თუ როგორ ვრცელდება სიჭლექე—ეს დაუცხრომელი მტერი კაცობრიობისა და როგორ უნდა დაიცვას ადამიანმა თავისი თავი ამ სენისაგან. წაკითხული იქნება ლექციები ყველა სასწავლებლებში და აუდიტორიებში, რომ საყოველთაოდ გავრცელდეს ყოველი საჭირო ცნობა ამ სენის შესახებ.

შემოსული ფული სულ საქველმოქმედო და დიადი მიზნისათვის არის დანიშნული.

რამდენადაც მიზანი საგულისხმოა და კეთილი, მით უფრო მხურვალედ უნდა მოვეკიდოთ მას. იშვიათია ისეთი დღე, როდესაც საზოგადოების ძალა, დაქსაქსული და კერძო მიზნების მიმდევარი, ერთად ირაზმება და საერთო გამოხატულებას იღებს.

მაშ, ამ დღეს მაინც უნდა დავივიწყოთ ჩვეულებრივი კარჩაკეტილობა, ერთს დღეს მაინც შევათამაშოთ ჩვენი საზოგადოებრივი გრძნობა და გამოვიღოთ წვლილი დასნეულებულ, შეძლისა და გარემოებისაგან დაჩაგრულ ჩვენ თანამოძმეთათვის, რომელთაც დიდი განძი ბუნებისა ჯანმრთელობა ხელიდან უსხლტებათ, ან უკვე გამოჰსხლეტიათ.

ეს კარგი გაკვეთილია საზოგადო გრძნობის საწვრთნელად და ნუ დაგვავიწყდება, რომ პატარა ყვავილით მოხვეჭილ პატარა ლითონს შეუძლიან მრავალი ოხვრის შემსუბუქება, მრავალი ტკივილის დაყუჩება. ნუ დავივიწყებთ, რომ მათი დახმარება ჩვენ წმინდა მოვალეობას უნდა შეადგენდეს. ყველა ჩვენგანს, დღეს ჯანმრთელსა და სიცოცხლით სავსეს, ხვალ შეიძლება ამ სენის კლანჭებში ყოფნა არგუნოს მუხთალმა საწუთრომ. ამიტომაც ასეთი დახმარება, როგორც დიდად საჭირო ყველასათვის უუსაჭიროეს მოვალეობად უნდა იქნეს დასახული.

ნუ დავიშურებთ მცირე წვლილს დიადი საქმის გასაკეთებლად.

ლ—ძე.

ქუთაისში

არ შევრცხვეთ გვირილობას!

არავითარ შემოსულს მტერს არ შეუძლიან მიაყენოს კაცს ის ვნება, რაც ჭლექს. ჭლექი კაცობრიობის უსაშინელეს მტრად გარდაიქცა. მეცნიერთა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მთელ დედა-მიწის ზურგზე შვიდ ადამიანზე ერთი ჭლექის მსხვერპლია. ყოველ წელს ჭლექით იხოცება: საფრანგეთში 150,000 კაცი, გერმანიაში 90,000, რუსეთში 600,000 და მთელ დედა-მიწის ზურგზე 3 მილიონი კაცი. დიდი ქალაქები იძლევიან შემდეგ ციფრებს: 10,000 მცხოვრებზე ჭლექით იხოცება: ლონდონში 17, რომში 18, ბერლინში 23, პეტერბურგში 44, მოსკოვში 45.

ცნობილია, რამდენადაც ხალხი განვითარებულია, და სისუფთავე და საერთოდ ჰიგიენა უკეთ არის ხალხში დაცული, და რაც უფრო ჭლექთან ბრძოლის საქმე უკეთ არის მოწყობილი, იმდენად ეს სენი უფრო ნაკლებად იკიდებს ფეხს.

გარდა საერთო განვითარებისა, უპირველესი საშუალება ამ საშინელ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად სანატორიუმებია. და ამიტომ გერმანიისა, ავსტრიისა, შვეიცარიისა, საფრანგეთისა, და ინგლისის საგარეკო ადგილები აივსო სანატორიუმებით. მაგრამ სანატორიუმები ვერ დაიტევს იმდენ ჭლექიან ავადმყოფებს, რამდენისთვისაც ეს საჭიროა. მასთან ბევრისთვის სანატორიუმებში მოთავსება, ხელმოკლეობის გამო, შეუძლებელია. ეს საშინელი სენი უმთავრესად ედება ეკონომიურად წელში გატეხილ ხალხს. ამიტომაც ევროპიელმა სახელმწიფოებმა სანატორიუმების გარდა სხვა საშუალებასაც მიაქციეს ყურადღება. დაარსეს ჭლექთან მებრძოლი საზოგადოებანი, რომელთაც გამართეს ხელის მოწერა, დააარსეს ყოველწლიური დღესასწაული — „თეთრი გვირილას“ (ყვავილის) სახელით და აუარებელი ფული შეკრიბეს. ამ საზოგადოებათ დააარსეს აგარაკებში და ქალაქებშიაც სახალხო სანატორიუმები, სადაც უფასოდ ან ხელ-მისაწდომ ფასად მოათავსეს ავადმყოფები, გახსნეს უფასო სამკურნალოები, (ამბულატორიები) მოსიარულე ჭლექიან ავადმყოფთათვის და აძლევს უფასოდ, ან ხელმისაწდომ ფასად წამლები. ჭლექთან მებრძოლ საზოგადოებათა წყალობით შესდგა სამზრუნველოებიც, რომლებიც უფასოდ და ან ძრიელ დაკლებულ ფასად აძლევენ ავადმყოფებს რძეს, კეფირს, საჭმელ-სასმელს და სხვა.

რუსეთმა მხოლოდ ორი წლის წინედ დაარსა პეტერბურგში ჭლექთან მებრძოლი ლიგა. ტფილისში კი 1904 წ. დაარსდა კავკასიის ჭლექთან მებრძოლი საზოგადოება.

„თეთრი გვირილის“ დღესასწაული მოხდა შარშან, 20 აპრილს (საზღვარ გარედ, ეს დღესასწაული ხდება 1 მაისს) რუსეთის ჭლექიან მებრძოლი საზოგადოების ლიგამ ერთი წლის მოქმედებით დიდი უნარი გამოიჩინა. თითქმის ყველა გამოჩენილ ქალაქებში გაიხსნა მისი განყოფილება, რომელთაც აქვს მინიჭებული ავტონომიური უფლებები. ამ ლიგის წყალობით დაკანონდა მთელ რუსეთში „თეთრი გვირილის“ დღესასწაული, რომელიც ხდება 20 აპრილს. ყველგან ხალხი აღტაცებული თანაგრძნობით მიეგება ამ დიდ მნიშვნელოვან ყოვლად სასარგებლო საქმეს და მოსკოვში ამ დღეს ჭლექთან მებრძოლ საზოგადოებას წმინდა შემოსავალი ჰქონდა 67,000 მან., პეტერბურგში 48,000 მან. როსტოვში 30,000 მან. და სხ. მთელ რუსეთში შემოსულა ნახევარ მილიონ მანეთამდე.

ჩვენში ამ დღესასწაულის გამართვის ნებართვა მიენიჭა კავკასიის ჭლექთან მებრძოლ საზოგადოებას და მათ განყოფილებებს. შარშანდელმა ტფილისში გამართულმა „გვირილობამ“ კარგად ჩაიარა.

ქუთაისი შარშან ჩვეულებისამებრ უკან ჩამორჩა სხვა ქალაქებს და ვერ მოაწყო „გვირილობა“. წრეულს ტფილისის ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების წყალობით საშვალება გვეძლევა საზოგადოების განყოფილების დაარსებისა და 20 აპრილის დღესასწაულის გადახდისა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი საზოგადოება დიდის თანაგრძნობით მიეგებება ამ საქმეს. თუმცა სტატისტიკური ცნობები არა გვაქვს, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისს და მთელს გუბერნიას პროცენტიულად ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს ჭლექიანების რიცხვით. ყველასათვის აშკარაა და ამას თვით ადგილობრივი ექიმებიც დაადასტურებენ, რომ ჩვენში ეს სენი დიდის სისწრაფით ვრცელდება, როგორც ქალაქში ისე სოფლად. არ მოიპოვება ისეთი ოჯახი, რომ ამ საშინელ სენს არ ჩაეთრიოს თავის საზარელ კლანჭებში რომელიმე ნორჩი სიცოცხლით, სავსე ახალგაზრდა ან მოხუცი. თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზედ შეხვდებით გამხდარ, ჩამოყვითლებულ ბავშს ან მოსწავლე ახალგაზრდას, რომლისთვისაც ამ საშინელ სენს ჩაუსვია თავისი უწყალო ბრჭყალები და საზარელი ბეჭედი დაუკრავს. აი ამ ავადმყოფთა დასახმარებლად ჩვენშიაც არსდება ჭლექთან მებრძოლი საზოგადოება. ჩვენი საზოგადოება მოვალეა ხელი შეუწყოს ქუთაისში ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების განყოფილების დაარსებას და განვითარებას.

დღეს, 20 აპრილს, ჭლექთან მებრძოლი საზოგადოება „გვირილის“ სახელით მართავს დღესასწაულს, რომლის შემოსავალიც უნდა მოჰხმარდეს ამ დიად სასარგებლო საქმეს. ქალაქი გაყოფილია ოთხ უბნად, რომელთაც განაგებენ: ო. ი. ოკიაშოხისა, ა. ე. დუბინინისა, ქ.ქ. მ. ი. ტიმჩენკო რუბანისა, ა. ზ. ლორთქიფანიძისა, მ. გ. ანჯაფარიძისა, ნ. ა. ჩარექოვისა, ო. კ. თუთბერიძისა. ამათგან მოწვეული ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი გაჰყიდიან გვირილას და უფასოდ დაარიგებენ წიგნაკებს ჭლექის შესახებ.

შესწირეთ ამ დიად სასარგებლო საქმის მოსაწყობად, ვისაც რა შეგიძლიანთ. გვირილა - ემბლემაა შეერთებულ მშვიდობიანი ბრძოლისა ადამიანის სიცოცხლის დასაცავად. ეს ყვავილი არ არჩევს კლასს, ხარისხს და მდგომარეობას. მაშ შევწიროთ, ვისაც რა შეგვიძლიან და **თავს ნუ შევირცხვენთ გვირილობა დღეს.**

ქ. ქუთაისი. ექიმი **გ. გოკიელი.**

ლენის მუშათა დახოცვის გამო.

კამათი ლენის ამბების გამო შეტანილ შეკითხვის შესახებ

სათათბიროში

18 აპრილი.

(დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო).

საღამოს სხდომაზე თავმჯდომარეობს როძიანკო. მინისტრთა ლოჟაში ზის ვაჭრობის მინისტრი. **უვაროვი** შინაგან საქმეთა და ვაჭრობის მინისტრების სიტყვას არჩევს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა უსაფუძვლოდ მისცა პოლიტიკური ელფერი ლენის გაფიცვას. ორატორის აზრით, დამნაშავეა ლენის ამხანაგობა, რომელმაც პასუხი უნდა აგოს არა სათათბიროში, არამედ სასამართლოს წინაშე. შინაგან საქმეთა მინისტრმა დიდი შეცდომა ჩაიდინა. იმის მაგივრად, რომ საქმის ნამდვილი ვითარება გამოერკვია, მხოლოდ თავის ხელქვეითებს დააფარა ხელი. ორატორს საჭიროდ მიაჩნია გამორკვევა, ზურგში ხომ არა აქვთ მოხვედრილი ტყვიები დახოცილებს. ორატორის აზრით, მინისტრის უკანასკნელ სიტყვებზე „ასე იყო ყოველთვის და ასე იქნება შემდეგაც“, ხალხის წარმომადგენლებმა, თუ ისინი ნამდვილი წარმომადგენლები არიან, სრულიად გარკვევითა და ნათლად უნდა უპასუხონ: „არა, ბატონო მინისტრო, შემდეგში ასე აღარ იქნება“. (ტაში მარცხნით).

მარკოვი მე-2 ამბობს, 4 აპრილს ჯარმა თავისი მძიმე, მაგრამ წმიდა მოვალეობა შეასრულაო. სალდათებს უნდა ესროლათ და, როგორც სამართლიანად შენიშნა მინისტრმა, ამისთანა შემთხვევებში შემდეგშიაც ესვრიან. 4 აპრილს მომხდარი ამბები შეკითხვისთვის არავითარ მასალას არ იძლევა. პოლიციელებმა ყოველ-გვარი ზომები მიიღეს, რომ ბრბო შეეჩერებინათ. ჯარიც ასე მოიქცა. ეს სრულიად წესიერი მოვლენაა და ასე ჰხდება, შემდეგშიაც ასე მოხდება ყველა კულტურულ ქვეყნებში. მაგრამ რამ მიიყვანა მუშები იმ მდგომარეობამდე, რომ მათი შეჩერება მხოლოდ ტყვიით მოხერხდა? პასუხი ერთია: დამნაშავეა მოქმედება ლენის ამხანაგობისა, რომელსაც მორცხვად ხელს აფარებენ ოქტომბრისტები და კადეტები. ხელის დაფარებამ ნათლად იჩინა თავი განსაკუთრებით გუჩკოვის სიტყვაში. სრულიად გაუგებარია, როგორ შეადგინა ასეთი სუსტი შეკითხვა სათათბიროს ხელმძღვანელ პარტიის მეთაურმა, რომელიც თითქმის კადეტთა შეკითხვას მიემხრო. ოქტომბრისტებსა და მათ მეთაურს ვერ შეუძლიანთ ხმა აღიმაღლონ მსხვილ კაპიტალისტების წინააღმდეგ, თუმცა ლენის კატასტროფის უმთავრესი მიზეზი სწორედ მათი მოქმედებაა. გაცილებით უფრო ადვილია გამტყუნება როტმისტრისა, განცბურგისა და მინისტრად ნამყოფ ტიმირიაზევისა (ტაში მარჯვნით). ორატორი ვრცლად ეხება გაფიცვის ეკონომიურ მხარეს და დასძენს, ვაჭრობის სამინისტრო სუსტად მოქმედებდა, იგი კოლექტიურ ურიას გინცბერგს უჭერდა მხარსაო. მარკოვი რჩევას იძლევა, მეტი ყურადღება მიაქციეთ იმათ, რომელნიც პროვოკაციასა სწევენ მუშებში, მშვიდობიან ხალხს ა ანყებენ, ანგარიში გაუწიონ იმათ, რომელნიც პარლამენტის სტუმრების სახელით უცხოეთიდან მოდიან და ჰყიდიან რუსეთს. თქვენ კი,—აბოლოვებს ორატორი.—ამის მაგივრად იერიში მიგაქვთ საცოდავ სალდათებზე, რომელნიც იძულებულნი ჰხდებიან აჯანყებულებს ესროლონ, და არავითარ ყურადღებას არ აქცევთ ტიმირიაზევს, რომლის წყალობითაც მალე შეუძლებელი გახდება გ გზა, სად იწყება მინისტრი და სად თავდება აფერისტი (ტაში მარჯვნით).

მაკლაკოვი აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით ლენის ამბების გამო გარკვეულს ვერაფერს იტყვის ადამიანი, მაგრამ ის კი გარკვევით შეიძლება ითქვას, თუ რანაირად უცქერის შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ამბებს. ცხადია, მინისტრი რომ ლენაში ყოფილიყო, ისიც ტრეშჩენკოსავით მოიქცეოდა რაც უნდა გამოარკვიოს გამოძიებამ, მთავრობა მაინც დამნაშავე იქნება. უპირველესად ყოვლისა მინისტრს აქ, ხალხის წარმომადგენელთა წინაშე, ცოდვები უნდა მოენანიებინა. იმას უნდა ეთქვა, რომ დამნაშავენი დაისჯებიან. სამინისტრომ განაცხადა, გამოძიება დაინიშნებაო; მაგრამ სამინისტრომ უნდა იცოდეს, რომ იგი სიმართლეს მხოლოდ მაშინ გაიგებს, როდესაც მოისურვებს იმის გაგებას. კნიაზევს უკვე შეატყობინეს, გაფიცვა პოლიტიკური ფერი ჰქონდა კანონიერად იქცეოდა და დამნაშავეა სამი გადასახლებული, რომელნიც მართლ-მსაჯულებას გაექცნენო. კნიაზევს ის ღა დარჩენია, რომ ან მინისტრის წინააღმდეგ წავიდეს, ან კიდევ ისეთი მასალა გამოსძებნოს, რომელიც მინისტრის სიტყვებს გაამართლებს და დაადასტურებს. ორატორი ამტკიცებს, მინისტრმა ნდობა დაუკარგა იმას, რასაც კნიაზევი რევიზიის შემდეგ იტყვისო. (ტაში მარცხნით).

ვაჭრობის მინისტრი მარკოვს უპასუხებს და ამბობს, 1911 წელს მუშების მიერ წარდგენილ სამ მოთხოვნილებიდან ორი სამინისტროს დაბეჯითებით რჩევით დააკმაყოფილესო. ამის შემდეგ მინისტრი უარჰყოფს იმ აზრს, თითქოს შინაგან საქმეთა და ვაჭრობის მინისტრთა სიტყვებს შორის წინააღმდეგობა არსებობდეს და დასძენს, საზოგადოებასა და პრესას მოუთმენლობა ეტყობა, თან შიშობენ, ვაი თუ სიმართლე არ გამოირკვესო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, რომელსაც ერთ საჩქარო საქმის გამო პეტერბურგიდან წასვლა მოუხდა, დამავალა კატეგორიულად გამოუცხადო სათათბიროს, რომ მთავრობა აუცილებლად ყოველის მხრით გამოარკვევს ამ ამბებს. საჭიროა გამორკვევა ყველა თანამდებობის პირთა მოქმედებისა, მუშაობის პირობებისა; საჭიროა გამორკვევა ყველა იმისა, რამაც საშინელი კატასტროფა გამოიწვია. შინაგან საქმეთა მინისტრმა კიდეც განაცხადა, რომ ამ გამოძიებაში მონაწილეობას მიიღებს: ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორი, ირკუტსკის ბრალმდებელი და ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენელი. ამ ჟამად კი მთავრობამ გადასწყვიტა, სთხოვოს ხელმწიფე-იმპერატორს, რომ ხელმძღვანელობა ამ გარემოებისა მან მიანდოს განსაკუთრებულ, თავის მიერ არჩეულ პირს, რომელიც თავდები იქნება იმისა, რომ გამოძიება მიუდგომლად იწარმოებს (ტაში მარჯვნით და ცენტრში). ამ გამოძიების შედეგს ყველა გაიგებს. რაიც შეეხება გამოძიების დანიშვნის დროს, საუბედუროდ მთავრობას ვერ შეუძლიან იგი ძალიან დააჩქაროს, რადგანაც მისვლა-მოსვლა ირკუტსკსა და ლენის რაიონს შორის სრულიად შეწყვეტილია. დასასრულ მინისტრმა განაცხადა, მთავრობა სიამოვნებით ეგებება სათათბიროს მიერ გამოთქმულ სურვილს, რომ საჭიროა მუშების დაზღვევა და სხვა ამგვარ კანონ-პროექტების შედგენა. მთავრობაც სიამოვნებით შეადგენს იმ რაიონისთვის საჭირო საგანგებო კანონ-პროექტებს (ტაში მარჯვნით და ცენტრში).

სხდომა შესწყდა. შემდეგი სხდომა დანიშნულია 19 აპრილისთვის.

საარჩევნო სამზადისი რუსეთში

პროგრესისტთა პარტიამ ცენტრალური კომიტეტი აირჩია: იგი მოსკოვში იქნება. პარტიას გადაუწყვეტია მოსკოვში თავისი კანდიდატები არ წამოაყენონ, რომ ამით კადეტებსა და ოქტომბრისტებს ხელი არ შეუშალონ. პროგრესისტებს აზრადა აქვთ მთელი თავისი ყურადღება პროვინციას მიაქციონ.

მოლაპარაკება ჰქონდათ კადეტთა და პროგრესისტთა პარტიის წარმომადგენლებს. კადეტებს კატეგორიულად განუცხადებიათ, მოსკოვში პირველ კურიიდან ერთს ადგილს პროგრესისტთა კანდიდატს დაუთმობთო. მხოლოდ პირობად უდებენ, რომ კანდიდატი მსხვილ მრეწველობის წარმომადგენელი იყოს და სახელიც ჰქონდეს მოხვეჭილი. იმავე თათბირზე მოსკოვის ბევრს გავლენიან მრეწველს უთქვამს, გუჩკოვის კანდიდატურას არას გზით მხარს არ დაუჭერთო.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

გემის დაღუპვა.

სტამბოლი. ამერიკელი გემი „ტეხას“-ი 1 მაისიდან სალონიკს მიემართებოდა. მას უნდა გაევლო ნაღმებ ჩაწყობილი ადგილი. აცილებდა ნავთსადგურის გემი. „ტეხას“-ის კაპიტანმა გვერდზე გადუხვია, თუმცა სანაპირო ბატარეიდან სროლით გააფრთხილეს, და ნაღმს წააწყდა. მოხდა აფეთქება. „ტეხასი“ იმწამსვე დაიძირა. ზედ 193 კაცი იყო. გადაარჩინეს 68. ზოგი დაჭრილია. მათ შორის კაპიტანიც. დაღუპვნენ კა-

პიტანის თანაშემწე, მანქანების გამგენი, და მგზავრები. სარწმუნო ცნობები ჯერ არ არის, რუსი მლოცველნიც იყვნენ გემზე თუ არა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში მთავრობამ განაცხადა: ოსმალეთს სწრაფი მოთხოვნილება წარვუდგინეთ დარდანელის გზის შეკვრის გამო, რათა შეთანხმება მოვახერხოთ და ვაჭრობის საქმეს გზა მიეცეს.

სტამბოლი. მინისტრთა საბჭომ დაადგინა, დარდანელის გზა გაიხსნასო.

ნიკოლაევი, დარდანელის გზის შეკვრის გამო აქ 3 მილიონი ხორბალია დაბანდებული.

არეულობა სპარსეთში

თავრიზი. თეირანის მთავრობამ შუჯაუდ-დოულეს სთხოვა, რადგანაც ჩვენ საკმაო სამხედრო ძალა არა გვყავს, ზენჯანის გუბერნატორს 300 მეომარი მიაშველეო, შუჯა დასთანხმდა. გენერალ-გუბერნატორმა დააპატიმრა მეჯლისის დეპუტატი ჰაჯი-მირზა, რომელიც თავრიზში შუჯა-უდ-დოულეს წინააღმდეგ ქადაგებდა.

თავრიზი. შუშტერის მახლობლად ბრძოლა მოხდა გუბერნატორ ემირ-მუჯალიდის ბახტიართა და არაბთა შორის. ბახტიარებმა გაიმარჯვეს. ფერმან-ფერმა კერმანშაჰს შევიდა. ბახტიართა რაზმებს ებრძანათ, პირდაპირ ქურთისტანს გაემართნენ.

ურმია. ოსმალებმა აკრძალეს სულდუზის ოლქიდან ხორბლის შემოზიდვა, ამის გამო პური გაძვირდა. დამშეულ დედაკაცთა გროვამ რუსეთის საკონსულოს დახმარება სთხოვა. ურმიის ტბაზე მოსიარულე ერთად-ერთი ნავტიკი დაიღუპა. მიმოსვლა ხმელეთით ხდება.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

19 აპრილი.

ვენა. ავსტრიისა და უნგრეთის დელეგაციათა კომისიებმა ხარჯთ-აღრიცხვა მიიღეს. ფინანსთა მინისტრმა მილინსკიმ უნგეთის დელეგაციაში განაცხადა: ბოსნია საკონსტიტუციო დებულებათა განმტკიცებას მოითხოვსო; იგი სხვა სახელმწიფოებისკენ არ იხრება, და ტრიალიზმზე კი არა, თავის საკუთარ ინტერესებზე ფიქრობსო. მინისტრის აზრით, საჭიროა ბოსნიის კეთილდღეობის განმტკიცება, მაგრამ მონარქიულ წყობილების შეცვლა კი შეუწყნარებელიაო.

ვენა. გრაფ ბერხტოლდის სიტყვა ოპოზიციონერებსაც კი მოეწონათ. დელეგატმა ტისამ აღნიშნა: უმთავრესი ღვაწლი ავსტრო-უნგრეთის გარეშე პოლიტიკისა ის იქნება თუ ბალკანეთის საქმეების გამო ვენისა და პეტერბურგის კაბინეთები შეთანხმდებიანო. ომის საფრთხე თავს წამოჰყოფდა, თუ რუსეთი ჩვენსავით ბალკანეთის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას არ ემხრობოდეს.

ბერლინი. პირველმა მაისობამ მშვიდობიანად ჩაიარა. გაფიცულია მხოლოდ კალატოზთა ერთი ნაწილი. 80 სოციალისტური კრება მოხდა. გერმანიის სამრეწველო ადგილებიდან იტყობინებიან, რომ წელს პირველ მაისობას დღესასწაულმა იკლო, წინანდელთან შედარებით. ჰამბურგში კი 50 ათასი მუშაა გაფიცული.

ბერლინი. რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც ჯარს ორ კორპუსს უმატებენ. წინააღმდეგნი მხოლოდ სოციალისტები იყვნენ.

პარიზი. პირველ მაისს დიდძალი მუშა გაიფიცა. პროვინციებში გაფიცულთა რიცხვი მცირეა. ბევრი სადემონსტრაციო კრება მოხდა, მაგრამ მშვიდობიანად ჩაიარა.

ბოსტონი. მასაჩუზეტის 1,080 საარჩევნო ოლქიდან არჩევნებში 1,037 ოლქმა მიიღო მონაწილეობა. რუზველს ერგო 79,564 ხმა, ტაფტას 84,948.

ნიუ-იორკი. რკინის გზის 50 ლიანდაგის მემანქანეთ გაფიცვის მაგიერ გადასწყვიტეს ხელ-ფასის საკითხი გადასაწყვეტად სამედიატორო სასამართლოს მიანდონ.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში სამუელმა განაცხადა: მომავალ მკათათვეს ლონდონში შესდგება სახელმწიფოთა კონფერენცია საერთაშორისო რადიოტელეგრაფის საქმისათვის.

ტოკიო. გაზეთები შორეულ აღმოსავლეთის თაობაზე საზონოვის ნათქვამს იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრ უჩიდის პასუხადა სთვლიან. უჩიდიმ ამ ერთი თვის წინედ პარლამენტში განაცხადა: მანჯურიის საქმეებში რუსეთ-იაპონია თანხმობით მოქმედებენო.

კაირი. ნაციონალისტთა პარტიის ბელადს ფარიდ-ბეის, მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის, ერთი წლით ციხე მიუსაჯეს.

შანტილიში (საფრანგეთშია) შოფერების მიერ გატაცებული ქაღალდები ეგვიპტეში აღმოაჩინეს.

რუსეთი

ვარშავა. სასამართლომ რონიკერის საქმის გამოძიება დაასრულა. ბრალმდებელმა საბრალმდებლო სიტყვა წარმოსთქვა.

ოდესა. ექსპორტიერთა თათბირმა დაადგინა: დარდანელის გზის შეკვრის გამო აპრილისათვის დადებული ხელშეკრულებანი ძალასა ჰკარგავსო.

სარატოვი. 12 ადლის სიმაღლიდან ჩამოვარდა მფრინავი. გაუშკო და მისი თანამგზავრი პიშკოვი საფრენი დაიმსხვრა. მფრინავნი გადარჩნენ.

პოლტავა. სახელ. საბჭოს წევრის ამრჩევლად თავად-აზნაურობამ აირჩია ბრაზოლი და თ-დი შჩერბატოვი.

პეტერბურგი. ყადაღა დაადეს „ვეჩერნოე ვრემიას“ 121 ნომერს. რედაქტორი სუვორინი პასუხის გებაში მისცეს.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ილტას გაემგზავრა.

პეტერბურგი. დღეს ლენში მომხდარ უბედურების გამო პროტესტის გამოსაცხადებლად 53,983 მუშამ მუშაობა შეაჩერა. ქუჩებში უწესოება არ მომხდარა.

ქალაქის უფროსმა ქუჩაში გამართულ კრებისათვის 135 კაცს ათის დღიდან სამ თვემდე ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა.

ვარშავა. ბრალმდებლის ამხანაგი რონიკერის მკვლელობას აბრალებს, ზავადსკის—ხელის შეწყობას.

ალაგირის სკოლის სასარგებლოდ შემომწირველთა სია

(დასასრული *)

თომია თაზ. ლობჯანიძემ 60 კ. ათ-ათი შაური: ალექსი ქ. ლობჯანიძემ, გიორგი ბარიკიძემ, მინა ბარაშიძემ, მინა შარაბიძემ, პართენ ტატილაძემ რაჟდენ მეტრეველმა, გიგო დვალიშვილმა, სანდრო ტოგონიძემ, გიგო მეტრეველმა, ბესარიონ ხიდურიძემ, ლიდია პიპინოვმა, ივლიან ხიდურელმა, იოსებ ჯაფარიძემ, ნიკ. სვეჩოვმა მიხ. ნიკულინმა, ისიდორე ხიდურელმა, კარგინოვმა, ი. მეტრეველმა, წყალობა ანდრეევმა, ნინა ჩითაევმა, სოფიო ხეთაგუროვისამ ნინა შარმადინისამ, სოფიო აბოევისამ, კატო კაიშაურისამ ოლა ჩითაევისამ, ნინა მთვარელოვისამ, ნინა მრევლოვისამ, ანნა ბერუჩაშვილისამ, ეკატერინა საწიროვამ, ოლა ქუჩმაძისამ, ნინა ელერდაშვილმა, ნატო ელერდაშვილმა, ეთერია ომიაძისამ, ვარია გამყრელიძისამ, ლალია ლობჯანიძისამ, პელაგია ლობჯანიძისამ, მაშომ და პელომ, ეფროსინემ, ანიჩკა რევაზოვმა, ნასტია ლობჯანიძისამ, მელანა ლობჯანიძისამ, თამარა ლობჯანიძემ, მართა ხიდიშელმა, სურათა ლობჯანიძისამ, დაშა დოკვაძისამ, გვითია დოკვაძისამ, ანუსია ლობჯანიძისამ, არსენ შალიკაშვილმა, დიმიტრი იარაჯულმა, ივანე ილურიძემ, ზაქარია კასაევმა, ტაბო სოლტანოვმა, ე. ღუდუშაურმა, ნიკო მაღალაშვილმა, პავლე მრევლიშვილმა, ალექსი კობაიძემ, სარქის ბიჭილაშვილმა, იაგორ ბიზოევმა, ვანო კაციტაძემ, არჩილ გოგობერიშვილმა, თედო გორგობიანმა, ვანო გრიგოროვმა, სიმონა სუჯაევმა, დავით ძუგკოევმა, ლადო დიდებაშვილმა, ივანე დემუროვმა, ვასილ კუმსიევმა, ედესია ლობჯანიძისამ. სამ-სამი აბაზი: ბეჩი ბესოლოვმა, კატია და ლიუბა ლობჯანიძეებმა. ათ-ათი შაური: ალექსი ჩაგელიშვილმა, ნესტორ სოხიევმა, დავით ნადიბაიძემ, ნიკ. შემღელიშვილმა, სარიდან მელაშვილმა, შიო მელაშვილმა, მიხა ქერაშვილმა, ადუგოვმა, ილია გალმაგაძემ, ალექსი ჩოფიკოვმა, ალექსი ხულუზაურმა, სამსონ ჩალაძემ, ალექსი ტუკაევმა, მგელაძე გალაკტიონმა, სერგო ლებანიძემ, გაბო ელერდოვმა, გრიგოლ ნამგალაურმა, მიხა ბერუაშვილმა, გაბო ქაფიანიძემ, გეურქოვმა, პავლე მეფურნიშვილმა, ივანე მარქაროვმა, დავით დავიდოვმა, ხითაროვმა, კალაძემ, ზაქარია კერესელიძემ, ბესო ლობჯანიძემ, სიმომ ბერუაშვილმა, სიმონ საბანაძემ, ნიკო კობახიძემ, მიხა ჭელიძემ, ანტონ მალიატოროვმა, ფატია ლობჯანიძისამ, ქოცია ლობჯანიძისამ, ზაქარია შავდიამ, ი. რეხვიაშვილმა, დიანოზ მაისურაძემ, ლიდა კერესელიძისამ, იოსებ მეკაევმა 85 კაპ. ორ-ორი აბაზი: პელო ბუჩუკურმა, პელაგიამ და ლიუბამ, ედესია ლობჯანიძისამ, მარინე და მარია ლობჟანიძეებმა, მიხა პაგელოვმა. ექვს-ექვსი შაური: ხაჩატურ ოსიპოვმა, ვერა ნადიბაიძისამ, ნინა ქასაევმა, ოლღა ლობჯანიძემ, მართამ და თებრონიამ, ტასია გიგაურისამ, ანნა ბიძიშვისამ, ოლია მეტრევლისამ, ალათი გუგეშოვისამ, ანნა სამანაძისამ, ბაბალე ლობჯანიძისამ. შვიდი შაური: სადიკო ლობჯანიძისამ. ექვს-ექვსი შაური: ბაბალე ლობჯანიძემ, ირინე მეტრეველმა, სალომე არჩვაძემ; შვიდი შაური: ოლია ლობჯანიძისამ, თითო აბაზი: ივანე ხიდურელმა, პაპი თომაევმა, სონა ჯანიაშვილმა, ალათია ლობჯანიძისამ, ტერეზია ლობჯანიძისამ, ოლა მოზდოკელოვმა, ალათი ბიჭიაშვილისამ, ანნა ლობჯანიძისამ, ტერეზია მაისურაძისამ, მაკრინე რეხვიაშვილისამ, ვალენტი რეხვიაშვილისამ, მანია სხირტლაძემ, ეფროსინე და მანია ლობჯანიძეებმა, ირინე მეტრეველისამ, ილესო გობეჯიშვილმა, ეფროსინე ჯაფარიძისამ, კესარია ალავიძისამ, ანნა ჩიკვილაძისამ. ხუთი შაური ალათი გუგეშოვისამ. თითო აბაზი: ლიზა გუგეშოვისამ, ბაბალე ჩიკვილაძისამ, პელაგია მეტრევლისამ, მელანია ლობჯანიძისამ, თეკლე მაისურაძისამ, ელისაბედ ლობჯანიძისამ, ნატალია მაისურაძისამ, ტასია ლობჯანიძისამ, ალათი ლობჯანიძისამ, სუსანა ლობჯანიძისამ, ტასო ლობჯანისამ, სალომე ლობჯანიძისამ, ალათი ლობჯანიძისამ, სონა ლობჯანიძისამ, ევა ლობჯანიძე, ანეტა და მაშა ლობჯანიძეები, ფეფენა ლობჯანიძე, საბედა და მაშა ომიაძეები, ფატია მეტრევლისამ, ანნა დავითაძემ, სალომე მკერვალიშვილისამ, ნინო დოკვაძემ, მაია სხირტლაძისამ, გოცია ლობჯანიძემ, ნატო ლობჯანიძემ, ეფროსინე სხირტლაძისამ, ქეთევან ჩიხრაძისამ, კნიაზ დ. მიქელაძემ, ვასილი ლებანიძემ. ხუთი შაური კოსტა ანდრეევმა. სამ-სამი შაური: მელანო მიხაშვილისამ, ანუსი ლობჯანიძისამ, თამარა გობეჯიშვილმა, ივლიტა ლობჯანიძემ, მაგდანა ლობჯანიძისამ, სალომე რეხვიაშვილისამ, საბედა გაგნიძისამ, ეფროსინე რეხვიაშვილისამ, საშა ტაბუცაძისამ, ქეთო გუგეშოვისამ, ნატალია მაისურაძისამ, კატია მემშვილდიშვილისამ, ევგენია მეტრევლისამ, მარინე მეტრევლისამ, მართა მაისურაძისამ, ირინე მაისურაძისამ, ანნა ლობჯანიძისამ, ელისო ლობჯანიძისამ, ტერეზია ლობჯანიძისამ, პელაგია მაისურაძისამ, ფატმან უნგიაძისამ, პელია ლობჯანიძისამ, თეკლე მეტრეველმა. ორ-ორი შაური; ტერეზია ლობჯანიძემ, ნინა ჩაგელიშვილისამ, ეკა ნეფარიძისამ, სათუა გაბისიანმა, აგრაფინა ალავიძემ, ოსანა ალავიძისამ, მართა მაისურაძისამ, მართა რეხვიაშვილისამ, ნატალია მეტრევლისამ, კესარია ომიაძისამ, ელისა სხირტლაძისამ, პელია ლობჯანიძისამ, ტასია ლობჯანიძისამ, კესარია მაისურაძისამ, ქეთევან ლობჯანიძისამ, თებრონია ლობჯანიძისამ, ნატალია ლობჯანიძისამ, ნინო ლობჯანიძემ, მარინე ლობჯანიძისამ, მაგდანა ლობჯანიძისამ, მაშო ლობჯანიძისამ, ბალიკო მაისურაძემ, ალათი მაისურაძისამ ბაბალე ლობჯანიძისამ, მართა ლობჯანიძემ, ედესია მეტრეველმა, დაფინე ლობჯანიძისამ, სეტუა მეტრეველმა. თითო შაური: მზექალა გავაშელიშვილისამ, ნუსია მეტრეველისამ, ირინე ჩიკვილაძისამ, სალომე გუგეშოვისამ, სოფიო ლობჯანიძისამ.

შემოწირულება ნივთებით და შრომით.

არტემ ხეჩუმევმა ლამფა—15 მან. სოლომონ ბუჩ. მეტრეველმა ლამფა—10 მან. სიკო, გიორგი, ლუკამ და ერმილემ ლამფა—4 მან. სულეიმან თაარმა 1000 აგური—10 მან. ვასილ ზანგიევმა 500 აგური—5 მან. იოსება ლობჯანიძემ ნამუშავარი—13 მან. ნიკო ლობჯანიძემ ნამუშავარი—12 მან. ისიდორე კვიცარიძემ წიგნები—25 მან. 38 კაპ.

ალაგირის ქართველ საზოგადოების მონდობილობით მასწავლებელი **გიორგი უტურაშვილი**.

---

*) იხ. „სახალხო გაზეთი“ № 57.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. კვირას, 22 აპრილს მსახიობი **იმხნელი** გამართავს წარმოდგენას ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება **ჰამლეტი**.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო ჟურნალ „განათლების“ რედაქტორს ბ. ლ. ბოცვაძეს, რომელმაც კეთილ ინება და უსასყიდლოდ დაგვითმო თავისი გამოცემის სრული ნომრები 1910, 1911 და 1912 წლის ნომრები.

ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გიორგი წმინდის სკოლის მასწავლებელი **სტეფანე ნიკოლაიშვილი**

**რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.**

გამოსადეგი ცნობა

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—**ი. პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
10, 11—12 **ვ. ბ. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5, ტელ, 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ბ. გედევანიშვილი**?